

K 232.112
3




ახტანგ თაქთაქიშვილი
გურამ თაქთაქიშვილი

ფუტკარი
ჩვენი მეგობარი
და მკურნალი

ვახტანგ თაქთაქიშვილი
გურამ თაქთაქიშვილი

**ფუტკარი
ჩვენი მებობარი
და მკურნალი**



თბილისი
1994

ნაშრომი განკუთვნილია ფართო წრის მკითხველისა და დამწეები
მეფუტკრისათვის

რ ე ღ ა ქ ტ ო რ ი : ნანა შიროტაძე

კ ო რ ე ქ ტ ო რ ი : დიმიტრი მაისურაძე

სპონსორი საქართველოს მემამულეთა კავშირის თავჯდომარე
ბატონი რაულ ბაბუნაშვილი

211 262.7

სკპგ-2000
შეგოსფეხულ

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



“ თუ ჩემი სიტყვა შენს ზვედრს გაიყოფს,
მართლაც მქონია ქვეყნად სათქმელი,
იმაზე დიდი რა უნდა იყოს,
კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი სანთელი.“

შ. ნიშნაიანი

ქართული ხალხი უხსოვარი დროიდან მისდევდა მეფუტკრეობას, რომლის პროლუქტებით მარტო მოსახლეობის მოთხოვნილებები კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ ისინი ღვინოსთან, აბრეშუმთან, მატყლთან და სხვა პროლუქტებთან ერთად საზღვარგარეთაც გაქაჩნდათ.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩვენს წინაპრები მეფუტკრეობას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში მისდევდნენ.

ასეთი ტრადიციების ქვეყანაში მეფუტკრეობამ თითქოს დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ალბათ, რომ არა ენთუზიასტების დაულაღვი შრომა, ქართული ფუტკარი გადაშენდებოდა კიდევც არადა ქართული მთის რუნი ფუტკრის განსაკუთრებული ღირსებები და ჩვენი ღვთიოტკრთხეული ქვეყნის თაფლოვანი მცენარეების მრავალფეროვნება იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს დარგი განვითარდეს და შექმნათ ფუტკრის პროლუქტების სიუხვე, რომელთა სასარგებლო და სამკურნალო თვისებები ამოუწვავია ადამიანისათვის.

მოგახსენებთ, ქართულ ენაზე ძალზე მცირეა ლიტერატურა, რომელიც გარკვეულ რჩევებს მისცემს დამწყებ მეფუტკრეს და ლიტერატურულად ადამიანებს. ამდენად, გთავაზობთ მცირე ნაშრომს, რომელიც მოიცავს ჩვენი შთამომავლობის, კერძოდ ჩვენს პირად, როგორც მოყვარული მეფუტკრეების, პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ლიტერატურული წყაროების მშობნილას.

ნაშრომის მომზადებაში თავისი რჩევებითა და კონსულტაციებით დიდი დახმარება გავიწვიეს დარგის სპეციალისტებმა: იროდი მულაძემ, ირაკლი რაზმაძემ, შოლერა შანიძემ, ვენერა სტეფანიშვილმა; ასევე მოყვარულმა მეფუტკრეებმა: შიო თოფურიძემ, მალხაზ აზარაშვილმა და სხვებმა.

ამასთან ავტორები დიდი ყურადღებით განიხილვეს ყოველ საქმან შენიშვნას თუ წინადადებას, რასაც თავიანთ შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებენ. მეფუტკრეობის განვითარების

მეფუტკრეობის განვითარების ისტორია

ჩვენს პლანეტაზე არსებობს მილიონზე მეტი მწერის სხვადასხვა სახეობა, რომელთა შორის ადამიანმა თავის სასარგებლოდ მხოლოდ რამდენიმე გამოიყენა, მათ შორისაა თაფლის შემპროცებული ფუტკარი.

30 - მილიონი წლის წინანდელი პერიოდის ცარცის შრეებში სხვადასხვა გაქაჩეულ მწერებთან ერთად ნაპოვია ფუტკარიც, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ შინაური ფუტკრის წინაპარი დიდი ხნის წინათ არსებობდა; მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იგი დედამიწაზე განჩნდა დაახლოებით 140 მილიონი წლის წინათ ე.ი. ადამიანზე უფრო ადრე. მისი პირველი ადგომამყოფელი ყოფილა: ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და კავკასია, შემდეგ კი გავრცელებულა მთელ მსოფლიოში.

6 000 წლის წინათ ეგვიპტის მოსახლეობა შინაურ ფრინველებთან ერთად ფუტკარსაც აშენებდა; თუ რამდენად აფასებდნენ ეგვიპტელები ფუტკარს, გვიჩვენებს ისიც, რომ ფარაონებს ემბლემებზე და აკლამებზე გამოისახული მქონდათ ფუტკარი.

ბერძნულ მითოლოგიაში თაფლის სასწაულომოქმედებაზე მრავალი ლეგენდა არსებობს. პომპროსი თავის უკვდავ ნაწარმოებებში "ილიადასა" და "ოდისეაში" უმღერის თაფლს და მის შესახებ შეგვახსენებს.

ესპანეთში ვალენსიაში, მიცელეული იქნა კლდის ფრესკა, რომელზეც გამოხატულია ფუტკრის ბუდეზე მონადირე ადამიანი; მკვლევალთა აზრით აღნიშნული ფრესკა შესრულებული უნდა იყოს 15 - 20 ათასი წლის წინათ და აღასტურებს იმ აზრს, რომ პალეოლითის ხანაში ადამიანისათვის ცნობილი იყო ფუტკრის პროლუქტების გამოყენება.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი ტომები შინაურ მეფუტკრეობას ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში იცნობდნენ. ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში თაფლი რეკომენდებულია სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

მეფუტკრეობა ინტენსიურად იწყებს განვითარებას ქრისტიანობის გავრცელების ეპოქაში, სწორედ

მაშინ დაიწყო ფუტკრის ცვილის გამოყენება სხვადასხვა რელიგიური რიტუალების შესრულების საჭიროებისათვის.

უფრო მოგვიანებით, როცა კონტინენტებს შორის დამკარდა სახმელეთო და საზღვაო კავშირი ფუტკრის სკები გადატანილი იქნა-ზრდილოეთ ამერიკაში 1630 წელს, ავსტრალიაში 1830 წ., სამხრეთ ამერიკაში 1845 წ., დღეისათვის კი მეფუტკრეობა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

დიდი ხნის წინათ გარეული ფუტკრის ოჯახები უღრანი ტყეების ხის ფულურებში და კლდის ნაპრალებში ბუთობდნენ; ადამიანები შემთხვევით გაეცნენ თავიღის გემის ამ უკლებლიან ხის მოჭრის ამ შეხეთ მოტყენის დროს, რომელიმაც ფუტკარი ბუდობდა და დაიწყო მასზე სადრობა.

ადამიანი პოულობდა რა ფუტკრის ბუდეებს, წყლის დასხმითა და დაბოლებით ფუტკარს ზოცავდა - თავისა და ცვილის კი მთლიანად აცლავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ფუტკარზე მონადირეთა რიცხვი გაიზარდა, ფუტკრის ოჯახთა რიცხვი კი საგრძნობლად შემცირდა. ამიტომ, შემდგომში ადამიანმა თავი დაანება ფუტკრის ოჯახების მისამართს. იგი ფუტკარს საყვების მხოლოდ საწილს აცლავდა და ზამთრის შარავს უტოლებდა, ამასთან, ცავდა მას დათვისა და სხვა მტრებისაგან.

როდესაც ადამიანმა ფუტკრის ოჯახის ცნობრებაზე ცოტათი აღწინა ცოდნა შეიძინა, დაიწყო ტყეში ხეებზე ფულურების ამოჭრა, რომ შიგ ფუტკრის ოჯახები ჩასახლებულიყვნენ. დროთა განმავლობაში კი დაიწყო მუშაობა, რომ ხეში ფულურის ამოჭრაზე უფრო ადვილი იყო მიჭრათ მორში ფულურის გაკეთება და შემდეგ მისი ხეზე დამაგრება; ასეთ ფულურთან მორებს გვეჯები ანუ ბუკები ეწოდებოდა.

შემდგომში ადამიანებს დაიწყეს გვეჯების ძირს დაწყობა, რისთვისაც ტყეში - მტრულად აღვივლებულ ხეებს განხედავდნენ, შემდეგ ამ ადგილს მოასწორებდნენ, შემოიკრებდნენ და მთავრებს დააწყობდნენ; ასე განსაზღვრული საფუტკრეობა.

თანდათანობით ადამიანმა ფუტკრის ოჯახის მოვლის სისტემა გააუმჯობესა, გვეჯების მაგივრად კოდება /ხელოვნურად გამოფულურებული უსირო მორი გააკეთა, შემდეგ წნული/, წნულისაგან დაწნული გოლორი, შეიხიდან და გარედან თიხით გალესილი ყუთი, რომელსაც თანამედროვე სკის ფორმა მისცა.

თანამედროვე მეფუტკრეობის განვითარებას ხელი შეუწყო ამ დარგის სამმა დიდმა გამოგონებამ:

- 1814 წელს გამოიხილმა რუსმა მეფუტკრემ-პროკოპოვიჩმა, პირველმა მსოფლიოში გამოიგონა დასაშლელი ჩარჩოიანი სკა. ჩარჩოიანი სკის გამოგონებამ კიდევ უფრო გაითქვა სახელი ხელოვნური ფიჭვისა და ციბრუტის გამოყენების შემდეგ.

- 1857 წელს ვერმანელმა მეცნიერმა იოანეს მერინგმა გამოიგონა ხელოვნური ფიჭვა, რომელიც დამაშლად თვითნაკეთი წნებით. წნები დამზადებული იყო მსხლის ფიცრისაგან, რომელზეც ამოკეთილი იყო ფიჭვის მსგავსი უჯრედები.

- 1865 წელს ჩეხმა ფრანც გრუშკამ, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ხელი მოაქცია მეფუტკრეობას - გამოიგონა და დამაშლად სხვადასხვა კონსტრუქციის თავიღის გამოსაყენებელი ციბრუტები.

ფუტკრის ოჯახის განვითარება და მეფუტკრის შრომის საყოფიერების გაზრდა ბევრად არის დამოკიდებული საფუტკრეობის გამოყენებული სკების კონსტრუქციაზე. აღნიშნულის გამო დროთა განმავლობაში, საჭირო შეიქმნა პროკოპოვიჩის სკის გაუმჯობესება. /პროკოპოვიჩის სკა იღება გვერდიდან და სკის ბოლო ჩარჩოს დასინჯვისათვის საჭიროა დანარჩენი ჩარჩოების გარეთ გამოწყობა, რაც ფუტკართან მუშაობას აძლევს/.

- 1851 წელს გამოიხილმა ამერიკელმა მეფუტკრემ ლორენსო ლანგსტროტმა გამოიგონა ზევიდან ახახდელი სკა, რაც საშუალებას აძლევდა მეფუტკრეს ნებისმიერი ჩარჩო ამოღო სკიდან და გაეხიზნა. შემდგომში ამერიკელმა მეფუტკრემ-რუტმა აღნიშნულ სკას ქვედა სართლის ზომის მქონე სართული მიუმატა, ახეთი სკა სწრაფად გავრცელდა მეფუტკრეობაში და მას ლანგსტროტ-რუტის სკა ეწოდა.

ამერიკაში გადასახლებულმა ფრანგმა მეფუტკრემ დანანმა ლანგსტროტ - რუტის სკაში ჩარჩოების რიცხვი 10-დან 11-მდე გაზარდა და მე-12 გადასატყობი ფიჭვის დაემატა; აღნიშნული სკის ჩარჩოების ზომები შეცვალა შევიცარიელმა მეფუტკრემ ბლანტმა და ასეთმა სკამ დაღან-ბლანტმა სახელწოდება მიიღო. აღნიშნული სკები ძველებზე ბუდისაგან და ეთი ან ორი საკუქნოსაგან.

საქართველოში უმეტესწილად გავრცელებული ყოფილა გვეჯური მეფუტკრეობა. /ფუტკრის ოჯახების მოთავსება ფულურამოჭრულ მორებში/; მეხერხულა მეფუტკრეობამ /გვეჯების-ბუკების ხეებზე შემოსწობა/ ჩვენში დიდ ხანს იარსება და დღესაც გურჯისტანსა და აჭარაში შეხვდებით ხეზე მოთავსებულ გვეჯებს.

გამოიხილია ქართული ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ XVII - XVIII საუკუნეებში ფუტკარი გავრცელებული ყოფილა საქართველოს ყველა კუთხეში და ქართული თავიღისა და ცვილის რაოდენობა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ სხვა ქვეყნებშიც კი გაქონდათ.

გაუშუბი ბაგრატიონი საქართველოს საერთო დაზნაობის წესს: "არამდ ფუტკარი სარგებლად, რომლისა თაფლი ვიეთა ადგილთა ვითარცა შაქარი შუქნიებული და ხეჭკა და ცვილი და თაფლითა სიმარავე არს".

1860 წელს გურიის თავის საკამბეს, თხოვნით მიუშარათავს კაკასიის მუფისს(ცილისს)თან, რათა მისთვის მიეცათ სესხი მუფუტკრეობის განვითარებისათვის. აღნიშნულ წერილობით თხოვნაში, საკამბე იტყობინებოდა, რომ ის სეზონზე იღებდა 500-დან 600-ფუთამდე თაფლს და 50-60 ფუთამდე ცვილს.

1890 წელს კარგად ორგანიზებული საფუტკრე ქონდა თავად ვანშაძეს სოფ. მუფისწყაროში /დღოლოფისწყაროს რაიონში/. მას ქონდა თაფლის გამოსაწერი, ცვილის მზით სადნობი, საკონტროლო სკა და სხვა, ხოლო ფუტკრის ოჯახები მოთავსებული ჰქონდა დღან-ბლაჭის სისტემის სკებში ამ სოფელში 1900 წლისათვის 2000-მდე ფუტკრის ოჯახი ყოფილა აღრიცხული.

1890 წელს თბილისში შეიქმნა კაკასიის მუაბრეშუმეობისა და მუფუტკრეობის საცდელი სადგური, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში რაციონალური მუფუტკრეობის განვითარების საქმეში. აღნიშნულ სადგურში ჩამოყალიბდა მუფუტკრეთა მოსამადებელი კურსები, მის გასარგებლებაში იყო კარგად მოწყობილი საფუტკრე მუერსეობა.

1883 წელს იღია წინამძღვრნიველმა საკუთარ მამულში, სოფ. წინამძღვრნიანთკარში, თავისი ხარჯებით გახსნა სასოფლო საფურცლი სკოლა, სადაც სხვა საგნებთან ერთად მუფუტკრეობაც ისწავლიდა. სწორედ აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა ქართული მუფუტკრეობის სკოლის დიდა მოღვაწემ აბოლონ წულაძემ, რომელმაც 1911 წელს ქუთაისის ციხეში ყოფნისას დაწერა პირველი სრულგასიანი სახელმძღვანელო-“ ფუტკარი და მუფუტკრეობა“. აღნიშნული წიგნი, გამოცემამდე, ატორმა წარუდგინა კაკასიის მუფუტკრეთა საზოგადოებას, რომელმაც 1912 წელს მიწყობილ გამოფენაზე ეს წიგნი დააჯილდოვა ოქროს მედალით.

აბოლონ წულაძის, ივანე მაისურაძის, დავით ბოჭორიშვილის და სხვა მუფუტკრეობის ენთუზიატებისა და საციელებისთვის სახელმძღვანელოებზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე აღიზარდა ქართველ მუფუტკრეთა მრავალი თაობა.

XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში თანდათან გავრცელდა ჩარჩოიანი სკები, ხოლო მუფუტკრეთა პრაქტიკაში დამკვიდრდა ხელოვნური ფიჭვისა და თაფლის გამოსაწერი ციბრუტის გამოყენება.

ჩვენში ძირითადად დაინერგა ორი სახის სკა: კრტიკალური და პირიზონტალური; პირველი ტიპის სკის მოცულობის გაზრდა ზეოდან წარმოებს, მასზე რამდენიმე საუკუნის ან კორპუსის დადგმით, ხოლო მეორე სახის სკაში - გვერდიდან, მასში ბუდის ან საკუჭნარს ჩარჩოების ჩადგმით. კრტიკალურ სკაში ჩარჩოების რაოდენობა 12-მდეა, ხოლო პირიზონტალურში 16-დან 24-მდე.

საქართველოში მუფუტკრეობის განვითარება უპირველესად განაპირობა იმან, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალწლოვანი ბუჩქნა საუკეთესო პირობებს ქმნის მისი დაწერილობისათვის.

საქართველოში მუფუტკრეობის განვითარების მიზნით, მეტად სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა 1956 წელს, როდესაც სოფლის მუერსეობის სამინისტროში ჩამოყალიბდა მუფუტკრეობის რესპუბლიკური კანტორა, რომელიც 1958 წ. მუფუტკრეობის სამმართველოდ გადაკეთდა. ერთი წლის შემდეგ აღნიშნულ სამინისტროსთან შეიქმნა მუფუტკრეობის საცდელი სადგურიც.

ამ სამსახურებმა დიდიან დაარსებისა, წლების მანძილზე დიდი მუშაობა გასწიეს: ზაქისის ტერიტორიაზე აიჯი მძალური საწარმოო ბაზა, რომელიც დღესაც წარმატებით ასრულებს თავის ფუნქციებს. აქ მზადდება სკები, საფუტკრის სახლები, ხელოვნური ფიჭა და მუფუტკრეობის დაწებისათვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარი. ასევე საყოფიერო სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა მუფუტკრეობის საცდელ სადგურშიც.

1976 წელს აღნიშნული სამსახურები გაერთიანდა ერთ ორგანიზაციაში - მუფუტკრეობის რესპუბლიკურ სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანებაში. გაერთიანება, სამეცნიერო თვლევითი საქმიანობის პარალელურად ხისტემატორ დაზნარებას უწევს მუფუტკრეობის, როგორც ციბრუტის, ასევე პრაქტიკულს, ფუტკრის შოვნა - მოშენებისა და დაგვლებათა წინასაძღვე მუერნილობაში.

საქართველოში ფუტკრის ოჯახების მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარზე მეტი მოყვარულ მუფუტკრეებზე მოდის, ამიტომ ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში საჭირო გახდა შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მათ გაერთიანებდა. სწორედ აღნიშნულ მიზნს ემსახურება მუფუტკრეთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელიმაც გაერთიანებული არიან, როგორც ცალკეული მოყვარული მუფუტკრეები და მათი ამზანაობები, ასევე მუფუტკრეობის დარგით დაინტერესებული ორგანიზაციები.

აღნიშნული კავშირის მიზანია დაეხმაროს მოყვარულ მუფუტკრეებსა და დაინტერესებულ პირებს მუფუტკრეობის პრაქტიკულ საქმიანობაში, მოამზადოს საუფქველი აღნიშნული კავშირის მუფუტკრეთა საერთაშორისო ორგანიზაციაში შესასვლელად.

მსოფლიოს მეფუტკრეთა ურთიერთკავშირის, მეფუტკრეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში უდიდეს როლს ასრულებს მეფუტკრეთა მსოფლიო ასოციაცია "აპიმონლია". მეფუტკრეობის დარგის განვითარებაში ჯერ კიდევ დიდი და გამოუყენებელი რესურსებია რაობით დარღული და განვივრული ამოქმედება თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერების საქმეში.

თუ მეფუტკრეობას აპირებთ

საქართველოს ზეგანდელი ეკონომიკური სიძლიერის მიღწევისათვის დიდი შრომა და სათანადო რეზერვების ძიება რომ გეპარტებს, ეს ყველასათვის ნათელია, მაგრამ არც ძველი ტრადიციული, მამა-პაპური დარგების მივიწყება გეპარტებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შემორჩენილი, გამართლებული და საიმედოდ მორგებული იყო ჩვენი ქვეყნის უნიკალურ ბუნებას. მათ შორის კი მსოფლიოს მურნეობის ისეთი დარგის მიმართ როგორც მეფუტკრეობაა. რა უპირატესობა გააჩნია ამ დარგს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით?

სანიტარულ-ჰიგიენური და, თუ გნებავთ, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა შედარებით ნაკლები, არა სისტემატიური, არამედ ხეზონური შრომითი საქმიანობა საფუტკრეში აკავებს ადამიანის ჯანმრთელობას; ამასთან ღალბი წლებში თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების საქმიანობა მნიშვნელოვანი შემოსავალი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ დარგში საქმიანობას; ეს პროდუქტები ხომ არა მარტო საკვებს, არამედ ვეფექტურ სამკურნალო საშუალებებს წარმოადგენენ.

მეფუტკრეობის დაწყებისათვის საჭირო რამდენიმე ძირითადი პირობა. პირველი: საფუტკრეში საქმიანობისას არც თუ იშვიათად ფუტკარი ინესტრება და ადამიანის ორგანიზმში შეჰყავს 0,1-დან 0,3 მილიგრამამდე შხამი. ძველი გამოცდილი მეფუტკრეების ორგანიზმში შხამის მიმართ გამოიმუშავებს იმუნიტეტს და მათზე ის ნაკლებად მოქმედებს. არის ასეთი აზრიც, რომ მათ შემდგომში შხამიანი გველის კბენაც კი ვერაფერს აკლებს; მაგრამ იხივ არის ცნობილი, რომ ყოველი 100 ადამიანიდან 2 ან 3 ფუტკრის დასეტყვრახე ალერგიულ მოვლენებს ამდგავსებს /სახისა და ტანის შედარებით მგრძობიარე ადგილების წამოწიოთლება, ქინძროვანი გამოწყარა და ქავილი, მაჯისცემის მომატება და ა.შ./.

ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთი დანესტვრა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს, ამიტომ ასეთმა პირობმა და იმთავითვე, ვისაც გულსისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებები აწუხებთ, საფუტკრეში არ უნდა იმუშაოთ.

მეორე: საფუტკრის მოწყობად საჭიროა შესაფერისი ადგილი, ეს უნდა იყოს მყდრო, მშრალი, მოცილებული დიდ დასახლებებს, წარმოებებს, ფერმებს და ა.შ., რომელიც შემოიღობილი უნდა იყოს.

მესამე: საფუტკრის ირგვლივ 2-3 კმ-ის რადიუსით საკმარაოდენობით უნდა იყოს თაფლოვანი ზე-მეცნიერული, როგორცაა: აკაცია, ცაცხვი, წაბლი, ხეხილის ბაღები, ძეძვი, სამყურა, იონჯა, ესპარცეტი, სალი, ძიძო და სხვა.

მეფუტკრეობის დაწყება მიზანშეწონილია გასაფხულზე, როდესაც ფუტკარი სკიდან გამოფრენასა და აქტიურ საქმიანობას იწყებს. ფუტკრის ოჯახის შექმნა შეიძლება როგორც კვირ /სრული ოჯახის/, ასევე "ამანათწყარის" სახით, მაგრამ გამოცდილი მეფუტკრისთვის თავდაპირველად სკიანი ფუტკრის სრული ოჯახის შექმნა უკეთესია, რადგანაც "ამანათწყარის" მოვლა-პატრონობა, სანამ ის სონამალური სიძლიერის ფუტკრის ოჯახს ჩამოყალიბდება, დიდ შრომასა და გამოცდილებას საჭიროებს, რაც დამწყებ მეფუტკრეს არ გააჩნია და მისი მოვლა ძალზე გაუჭირდება.

ფუტკრის ოჯახის შექმნისას უნდა დავიხმაროთ გამოცდილი მეფუტკრე. რომ ოჯახი შეირჩეს ჯანმრთელი, კვაჭდეს დედა ფუტკარი, ღია და გაღებულად ბარტყი, თაფლი და ქერ საქარისი რაოდენობით და ა.შ. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ფუტკრის ადგილი იმ ადგილიდან, საიდანაც ფუტკრის ოჯახს ვიძებნ, უნდა იყოს მოცილებული არა ნაკლებ 10 კმ-სა, ხოლო ღალბიანობა დაწყებული 5კმ-სა, თორემ მოზრდილი მფრინავი ფუტკარი თავის ძველ ნაცნობ საფუტკრეს დაუბრუნდება და ფუტკრის ოჯახი მფრინავი ფუტკრის გარეშე დარჩება.

საფუტკრეში სკების დასადგმელი ადგილი ისე უნდა მოვასწოროთ, რომ ისინი სწორად დაეწყოს; სკებს თუ საკუთარი რკინის ღეროების სადგამები არ ახლავს, ისინი უნდა შევდგათ აგურების ან ხისაგან მოწყობილ სადგამებზე, რომ სკებს ძირები არ დაუღებეს და ფუტკართან უფრო გამართულად ვიმუშაოთ.

საფუტკრეში სკები ისე უნდა დავაწყოთ რომ მისი საფრენები აღმოსავლეთისაკენ იყოს მიმართული; ასეთნაირად მზის პირველი სხივები საფრენს არღო მოადგება და ფუტკარიც ადრინადა დაიწყებს ღალბაზე გაფრენას; საღამოს კი პირიქით, მზე სხვა მხრიდან მოქცევა და სკაშიც მეტი სიგრილე იქნება. სკებს შორის იმდენი ადგილი უნდა დავტოვოთ, რომ თავისუფლად გაეულა და



ყოველი მხრიდან მუშაობა შეგვეძლოს.

ფუტკარის ბევრი წესი სჭირდება, განსაკუთრებით კი გასაფხულზე - ბარტყის გამოზრდის დროს და იმისათვის, რომ მის მოსატანად შორის აფრინოს, საჭიროა საფუტკარეში მრავალფეროვანი საყურავები; ამ დანიშნულებით ვარჯისა ლორინის ან ხის კანთა მორგებული სახურავით, რომ შიგ ფუტკარი არ ჩაიყვას და არ ჩაიხრჩოს. კანთის ქვედა ნაწილში დაყენებული უნდა იყოს ონკანი წყლის სადნად. კანთი სადამაფხუ უნდა შევლავთ და ონკანის ქვევით დაქანებულად დავაყვიროთ დახრილარევიან ფიცარი, რომელზეც ონკანიდან წვეთ-წვეთობით იდენს წყალს.

საფუტკარეში სამუშაოდ დაგვირგობა შემდეგი ინვენტარი: პირბადე, საბოლბოელი, საფხეი-ასტამი, საფუტკარის დანა, ფრინველის ფრთა /საკველა/ ან ჯავრისა ფიჭქდან ფუტკარების მოსაცილებლად; ფარისისაგან დამზადებული, მსუბუქი, სახურავიანი, ჩარჩობის ჩასაყვიბი და მოსატანს ყუთი, რომლის გვერდების გარეთა მხარეზე მოხერხებულად დავაყვირებთ ყველა ჩამოთვლილ სამუშაო ინვენტარს, რათა მუშაობის დამწყობისას ისინი საჭიბარი არ გავავიხროთ და თანაც მათი ვადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად შეგვეძლოს; შემდგომში უნდა შევიძინოთ თათვის გამოსაყურო ციბრუტი და საციხტროლო ხასწროთ.

უნდა მოვერიოთ ფუტკარის ოჯახების ხშირ გახსნაჯას, რადგანაც ამით ხელს ვუშლით ფუტკარს ხორმალურ მუშაობაში; ასევე არ შეიძლება ფუტკარის ოჯახების გახსნაჯა ქარიან ან სვიბიან აბინდში.

როდესაც ბუნებაში დალიანობა და მოხრდილი-მფრინავი ფუტკარი აღრიანად გადის სამუშაოდ, მამსაც სკების განსიჯვა უმჯობესია დილის საათებში, რადგანაც სკაში დარჩენილი ახალგაზრდა ფუტკარი უფრო თვისიერაა, ადვილად არ ღიზინდება და არ ინეხტრება. თუ ლაღიანობა არ არის, მამის ფუტკარის ოჯახები სკამოს უნდა გაკისნოთ იმიტომ, რომ თუ ფუტკარმა ქედალა დასწყუი აბინდებისას მალე დასწენარდება. ფუტკარის ოჯახების ხილვისას გარემოს ტემპერატურა - ჩრდილში 12-14 გრადუსზე საკლები არ უნდა იყოს და ამ დროს ფუტკარი უნდა ფრინავდეს.

საფუტკარეში მუშაობის დასრულებამდე საჭიროა სათანადოდ მოვეშხლოთ: უნდა დავიბანოთ ხელ-პირი და ტანზე ჩავიცვათ თეთრი ფერის ხალათი ან შეღარებით დია ფერის ტანსაც მელი, რადგანაც შავი ფერი ფუტკარს აღიზიარებს და დანესტვრისაკენ განასწყობს. ასევე არ სიამოკნებს მის ოფლის, სუნამოს, ხიჯრისა და აკოკოლის სუნი; თმები, რომელიც მასზე დაუძინებელი მტრის, დათვის, ასოციერებას ახდენს, უნდა დაშალოთ ქედალა.

როდესაც ასეთნაირად მოვეშხლებით, პირბადეს მოვირეებთ და შესამოსმებულ ფუტკარის ოჯახს საფრინდის ბუდეში 2-3-ჯერ შევაბოლებთ, რომ ფუტკარი დასწენარდეს და მასთან შემდეგ ადვილი იყოს საქმინობა.

ფუტკართან უნდა ვიშუშაოთ დინჯალა არ შეიძლება საფუტკარეში ჩქარი სიარული, ხელების ქსეკა და დაბარაკი; ფუტკარის ოჯახის ხილვის დროს უნდა დავდეთ სკის გვერდითა მხარეს, რომ მყრისაკ ფუტკარს წინ არ ავეფაროთ და მუშაობაში ხელი არ შეუშალოთ. ფუტკარის ოჯახთან მუშაობისას ხელი უნდა გვერდის საფუტკარის გერანალი, სადაც ჩავსურო შემოსმებული ოჯახის მონაკმებს: ჰყავს თუ არა დედა ფუტკარი, რამდენი აქვს თათლი, ქეო, ბარტყის რაოდენობა და ა.შ. ეს ყველაფერი შემდეგ იმისათვის გამოუვალება, რომ ვიცოდეთ რომელ ფუტკარის ოჯახში რა მდგომარეობაა და რა საჭირო ღონისძიება ჩასატარებელი.

დამწყვეტი მუფუტკარისათვის სისარგებელია გაწვევრიანება რესპუბლიკის მეფუტკარეთა ნება ყოფილობით საზოგადოებაში, რომელიც ქობილისში თამარაშვილის ქ.151-ში ფუნქციონირებს.

დღევანდელი მეფუტკარე სრულყოფილად უნდა იცნობდეს ფუტკარის ცხოვრებას, დაუფლებული უნდა იყოს მეფუტკარეობის ხელოვნებას, შეეძლოს მექანიზმების მართვა; იცნობდეს თათლოვან მკენარეებს, სად, როგორ ნიადგაზე ხარობენ ისინი, როდის ვკავან, რამდენ ფუტკარს გამოყოფენ, როგორ ამინდში. ასევე უნდა იცოდეს ფუტკარის დაავადებები და ფლობდეს მკურნალობის ტექნიკას. ყოველივე ჩამონათვლიდან სათელია, თუ რაოდენ დიდ მოთხოვნებს უყენებს მეფუტკარეობა ამ საქმის მიმდევარს; თანამედროვე მეფუტკარე უნივერსალური სპეციალისტი უნდა იყოს.

ფუტკარის ოჯახის ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი

ბიოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: ბიო-სიცოცხლეს და ლოგია-მოძღვრებას ე.ი. მიღიანობაში შეცნირებას, რომელიც სწავლობს სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერებებს. საჭიროდ მივაჩნია წარმოვანინოთ ფუტკარის ოჯახის წვერობა ექსპლანეტობა; სირამალო ფუტკარის ოჯახში უნდა იყოს ერთი დედა ფუტკარი, რამდენიმე ასული მამალი და რამდენიმე ათასი მუშა ფუტკარი, ამასთან ერთად უფრო მეტა მუშა ფუტკარი, მათ უფრო ძლიერია ოჯახი.



მუშა ფუტკარი, ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით უფრო მოძიწო ტანისაა, მისი სიგრძე 12-14 მმ. აღწევს, მაგრამ როგორც იტყვიან: "ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასი" სწორედ ასეა, რადგან დაბუდის გარეთაც ყველა სამუშაოს ის ასრულებს - ეს იქნება ბუდის დასუფთავება თუ მტრისაგან ბუდის დაცვა. ოჯახისა და თავის დასაცავად კი მუშა ფუტკარს სამიწოდ იარაღი - შხამიანი ნესტარი გააჩნია, მაგრამ თუ მუშების დასუსტებისას ფუტკარი ნესტარს უკანვე იბრუნებს და სიცოცხლეს განაგრძობს, აღამაზნის დასუსტებისას ამას ვერ აბრუნებს, რადგან ნესტარს კბილანებით კანის ქსოვილებს ეღება და ისარს უკან აღარ უშვებს, ნესტარი შხამის ბუმბუტთან ერთად წყდება და ფუტკარიც იღუპება.

მუშა ფუტკარის სიცოცხლის ხანგრძლივობა წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვაა: ზაფხულში, მთავარი ღალიანობის პერიოდში, ის 30-35 დღემდე აღწევს; სუსტი ღალიანობის პერიოდში - გაზაფხულსა და შემოდგომაზე ორი თვის ფარგლებში, ხოლო უღალი პერიოდში გვიან შემოდგომიდან დაწყებული გაზაფხულამდე კი, შეიძლება 7-8 თვემდე გაგრძელდეს.

მაშალ ფუტკარი მუშა ფუტკარზე მონრდილი, მაგრამ დღე ფუტკარზე უფრო მოკლე და მსხვილია. ის მხოლოდ დღეა ფუტკარს აწყოფიერებს, სკაში არავითარ სამუშაოს არ ასრულებს, მხოლოდ თავის შეეცეკვა, ამიტომაც შემოდგომით, ღალიანობის დამთავრების შემდეგ, მუშა ფუტკარები მათ სკიდან აძეკევენ და ისინი შიმშილისა და სიცვიისაგან იხრცებიან; მაშალ ფუტკარს ნესტარი არა აქვს და ამიტომაც თავის დაცვა არ შეუძლია.

დღეა ფუტკარი წყარბუბული, 20-25 მმ. სიგრძის ტანით გამოირჩევა, ის გამოჩევიდან მე-7-10 დღეს სკიდან გამოდის იქ. "საქორწინო გამოფრენაში". ასეთ გამოფრენას ის რამდენჯერმე იმორებს და მას რამდენიმე მაშალი ფუტკარი აწყოფიერებს. ამის შემდეგ, ის სკაში უმდგომად რჩება და კვერცხის დებას იწყებს. კარგი დღეა ფუტკარი, ზოგჯერ ღალიანობის პერიოდში, დღე-ღამეში 1500-დან 3000-მდე კვერცხს დებს; ამასთან მუშა და დღეა ფუტკარის უჯრედებში დებს განაყოფიერებულ კვერცხს, ხოლო სამაშლე უჯრედში - გაუწყოფიერებულს. კვერცხებიდან მესამე დღეს იჩეკებიან ჭიები, რომელთაც ძიამ ფუტკარები რძით კვებავენ. ეს პროდუქტი წარმოიქმნება ახალგაზრდა მუშა ფუტკარის საყლაპე მილსა და ხელა ყბის ჯირკვლებში. სამივე სხვის ჭია პირველ სამ დღეს აღნიშნულ რძეს ღებულობს საკვებად. შემდგომში მუშა და მაშალ ჭიების რძის ნაცვლად თავიანსა და ჭერის ნარევი ეძლევათ, ხოლო სადღეე ჭიების მთელი ჭიაობის პერიოდში საკვებად ისევე სადღეე რძე რჩებათ. 5-7 დღის შემდეგ /სქესთან დაკავშირებით/ ჭია ზრდას ასრულებს და ძიამ ფუტკარები უჯრედის თავს ჭერსარევი ცვილით ბეჭდავენ. ჭია პარკუჭის რთავს იწყებს და ჭერსად იქცევა. ჭერსარევის დამთავრების შემდეგ კი ის ფუტკარად გარდაიქმნება, ყებიით გამოირჩენის უჯრედის გაღებუქდავლ თავს და გარეთ გამოდის.

ბარტყის ნორმალური განვითარებისათვის ბუდეში უნდა იყოს 34-35 ვარდუის ტემპერატურა, ამიტომ განსაკუთრებით გაზაფხულზე, რიდესაც დღეა ფუტკარის კვერცხებზელია იწყება, ბუდე კარგად უნდა იყოს დათბუნებული გვერდითა და ხელა ბალიშებით. ბარტყს ასევე სჭირდება ჰაერი, რომელიც ბუდეს საფრენიდან მიეწოდება; ამიტომ საფრენი სვრელის სიდიდის რეგულირების დროს ეს უნდა გავითვალისწინოთ.

კვერცხის დაღებიდან გამოჩეკამდე დღეა ფუტკარს 16 დღე სჭირდება, მუშა ფუტკარს 21, მაშალ ფუტკარს კი 24 დღე;

მართალია, დღეა ფუტკარი ხუთ წლამდე ცოცხლობს, მაგრამ პირველი ორი წლის შემდეგ ის საგრძობლად ამცირებს კვერცხმდებლობას, ამიტომ ორი სეზონის შემდეგ სასურველია ის ახალი დღეით შეიცვალოს.

მეფუტკარობის ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოხსენიებულია, რომ გაუწყოფიერებელი დღეა ფუტკარი იშვიათად ნესტარავს აღამაზნს, ამასთან თითქოს ეს დასუსტვრა სრულად უშტკივნეულო იყოს და დასუსტების ადგილზე მხოლოდ უმნიშვნელო ჭიაილს იწვევდეს. მაგრამ როგორც პრაქტიკულად გამოცდილება გვიჩვენებს საქმე მთლად ასე არ არის.

ერთ ზაფხულს ერთ-ერთი ოჯახის შემოწმება - ხილვა გარკვეული დროით დაგვიგვიანდა, აღმოჩნდა რომ ოჯახი ბუნებრივი ბარტყობისათვის გამსაღებელიყო და სადღეეები მრავლად ნაბრუნებინათ, ამასთან ახალგაზრდა დღეები უკვე გამოისვლად იყვნენ და უჯრედების გაღებუქდავლი თათების შემოდგომის დაწყობის სხვა გზა არ იყო, საჩეროდ დავიწყეთ ფიქრებიდან სადღეეების ამოჭრა, რომ ისინი გაღებულ იყვნენ ცალ-ცალკე მოკვეთავსებინა, მაგრამ როდი ვაკვალეს, თითქოს პირი შეკრესო, ერთდროულად დავიწყეს მათ სადღეე უჯრედებიდან გამოსვლა, მაშინ მათი დაჭრა ხელდახელ დავიწყეთ და მუშკში ვაგროვდებთ; იტყვიან ამ დროს ერთ-ერთი დღეა შემთხვევით თითის დაწვლით კვეშ მოკვდა და მან თავისი იარაღი უმაღ გამოიყენა. დასუსტების სიმძებრებით იგივე აღმოჩნდა, როგორც მუშა ფუტკარის დასუსტების დროს იცის; მხოლოდ იმ განსხვავებით რომ დღეა ფუტკარმა დასუსტირილი ადგილიდან ნესტარი უკანვე ამოაძრო, რასაც მუშა ფუტკარი ვერ ახერხებს.

ფუტკარის ოჯახის სიმდიერეზე დიდად არის დამოკიდებული დღის ხარისხიანობა, ამიტომ ამ მამართლებით საჭიროა მტეი ყურადღების გამახვილება. ასევე დროული ზომების მიღება საჭირო,

როცა რაიმე მიზეზით ფუტკარის ოჯახი დღის გარეშე რჩება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა უდღოდ დარჩენილ ოჯახს მიეცეთ სათადარიგო დედა. თუ უდღობის პერიოდი გაგრძელდა, მაშინ დაბოლბულო ოჯახის რამდენიმე მუშა ფუტკარი იწყებს გამოღივებულ კვებას ფუტკარის სადღოდ რაობა და მათ უვითარლებათ საკვრცხვები. იხინი ცრუ დღეებად გარდაიქმნებიან და იწყებენ გაუსაყოფიერებელი კვრცხვის ღებას. ასეთი კვრცხვიდან კი მხოლოდ მაშალი ფუტკარი იწყება და მათი რაოდენობა ოჯახში კატასტროფულად მატულობს. თუ დაიბოლბულ და ცრუ დღეებთან ოჯახს მუფუტკარე დროულად არ მიხედავ, ის დაიღუბება.

ცრუ დღეებთან ოჯახის გამოსწორების მიზნით საჭიროა აღნიშნული სკა რამდენიმე მუტრის მოძივრებით გადავიტანოთ და მის ადგილზე სხვა სათადარიგო სკა დავდებთ. ამის შემდეგ ცრუ დღეებთან სკის წინა გაუმლით ტილოს და ზედ დაბერტყავთ ჩარჩოებზე მსხნარ ფუტკრებს. ცარიელ ჩარჩოებს კი სათადარიგო სკაში დაგაბრუნებთ. ძირს დაბერტყილი ფუტკრებიდან მუშა ფუტკრები ისევ თავის ძველ ადგილზე დამუშავდ სკას დაუბრუნდებიან, ადგილი კი მამალი ფუტკარი და ცრუ დღეები დარჩენიან. შემდეგ ამ ოჯახს გალიით მიეცემთ დედა ფუტკარს ან მომიწიებულ სადედეს ჩაედეგათ.

ფუტკარის ოჯახში ძირითად სამუშაო მასალას ცვილი /სანთელი/ წარმოადგენს, მართალია ფუტკარი ამ დახმარებით დინდგვს - ფუტკარის წებოსაც იყენებს, მაგრამ ის ძირითადად ხმარდება კუჭურტანებისა და სკის უსწორმასწორო ადგილების ამოღებას, ასევე საფრენი ზვრელის დაეწივრებას;

ფუტკარი ცვილს გამოყოფს საცივლ ჯირკვლებიდან, რომელიც მუშა ფუტკრებს მეცლის ბოლო ოთხ რგოლზე აქვთ მოთავსებული. საცივლ ჯირკვლებიდან გამოყოფილი ცვილი მკერათს შეზებისას ცივდება და ფირფიტისებურად კვების ფუტკარს მუცელზე. ფუტკარი მას იძრობს შუა ფეხებით, წინა ფეხებით დასმარებით კი ყებობს იღებს და ღეჭებს დასარბილებლად, ხოლო შემდეგ ფეხის ასაშენებლად იყენებს. ცვილის მაქსიმალურად გამოყოფის უნარი მხოლოდ 12-18 დღის სწრაფების მუშა ფუტკარს მესწებს, ამდნად, ბუდეში ფიჭების აქტიური შენებისათვის საჭიროა ახალგაზრდა მუშა ფუტკარის დიდი რაოდენობა, ამასთან დაცული უნდა იყოს შესაბამისი მაღალი ტემპერატურაც დაახლოებით 35 გრადუსის ფარგლებში და ბუნებაში უზვი დალიანობა. ფიჭის მშენებლობის დროს ფუტკარი ძირითადად ამუშავებს მუშა ფუტკარის უჯრედებს, მცირე რაოდენობით სამალე უჯრედებს, ხოლო საყრდნობის პერიოდში მისი-იხინის თვეებში სადედ უჯრედებსაც. აღნიშნულ უჯრედებში წარმოებს მომავალი თაობის გამოზრდა, ამის გარდა მუშა ფუტკარის უჯრედში ინახავენ თაფლს და ქვოს.

წლის სხვადასხვა დროს ბუდეში სხვადასხვა სითბური რეჟიმია დამყარებული: როდესაც ფუტკარის ოჯახში ბარტყია, მაშინ ფუტკრები ბუდეში იცავენ 34-35 გრადუს ტემპერატურას. თუ ტემპერატურა აღნიშნულის დაბლა ეცემა, მაშინ ფუტკრები თავფით უზვად იკვებიან, რაც ხელს უწყობს მის ორგანიზმში სითბოს გამოშუშებას და ბუდეში ტემპერატურის დონე ზვით იწყებს, საფუხლის დღეებში კი პირაქით. ფუტკრები ფრთების ინტენსიური ქნევათ სკას ანაფეხენ და ბუდეს გადსურებისაგან იცავენ. ზამთრის პერიოდში, როდესაც ოჯახში ბარტყი აღარ არის და ფუტკარი გუნდს კრავს - ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში გადადის, ბუდეში ტემპერატურა მკვეთრად ეცემა და 14-25 გრადუსის ფარგლებშია. ამ დროს ფუტკარი გუნდში ნელ-ნელა გადაადგილდება გარედან, სადაც ტემპერატურა შედარებით დაბალია, გუნდის მიჯნით სითბოსკენ და პირაქით; თბილ ადგილს სხვა "შეციებულ" თანამოძებს უთმობს. ასეთი მოძრაობის წყალობით ფუტკარი ინარჩუნებს იმ მიზნობაურ ტემპერატურას, რომელიც მის ორგანიზმს ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ცნოვრეყოფილობისათვის სჭირდება.

ზამთრობით ფუტკარი ძირითადად თავფით იკვება, ხოლო გასაფხულზე, როცა ის აქტიურ ცხოვრებას ბარტყის გამოკვებას, ნუქტრის შეგროვებას და ფიჭების შენებას იწყებს, მარტო თავფით მისი ორგანიზმის მიერ გაზარჯული ენერჯიის აღსადგენად საჭიროა აღარ არის და ის ქვოსაც იყენებს საკვებად, რომელიც მდიდარია ცილებით, ასევე შიკაიცის ცხიმებს, ვიტამინებს, მარილებს და ნახშირწყლებს, ამასთან ფუტკარი ქვო ბარტყის გამოსაკვებად სჭირდება.

როგორც აღნიშნეთ, ფუტკარი აქტიურ ცხოველყოფილობას გასაფხულიდან იწყებს; თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის და ნუქტრის გამოყოფის პერიოდში, იგი აღძვრე გადადის და ოჯახში მცირე რაოდენობით ხერხელოვნობა ნუქტარი შემოაქვს, ეს კი სტიმულს აძლევს დედა ფუტკარს და ის შესაბამისად უმატებს კვრცხმდებლობას; ხოლო აპრილის თვიდან დედა ფუტკარი გასაყოფიერებულ კვრცხვთან ერთად გაუსაყოფიერებულ კვრცხვსაც სდებს და ოჯახში მამალი ფუტკარიც მრავლდება; ბუნებაში დალიანობის მატემატას კი დაკავშირებულია დედა ფუტკარის ინტენსიური კვრცხვის დება და ბუდეში იმდენი ახალგაზრდა მუშა ფუტკარი გროვდება, რომ მათი რიცხვი ბარტყის აღსაზრდელად საჭირო მძიმათა რაოდენობას საგრძნობლად აღემატება და ნაწილი უსაქმოდ რჩება. ბუდის ასეთნაირი გადატვირთვა კი ფუტკარს საყრდნობისაგან უზიბებს; ფუტკრები იწყებენ სადედე ჯამების მშენებლობას და დედა ფუტკარი კი თავისი მომავალი მეტოქეების გამოსაზრდელად მზე

განყოფიერებულ კერძებს სდებს. ასეთიანად ბუღეში მწიფდება ხასიერ საღებავი საყრდენის საფუძვლის მსგავსი პერიოდში ფუტკრის ოჯახში კლებულობს აქტურის საქმიანობა. დღეა ფუტკარი ამცირებს კერძინდებლობას, ხოლო მუშა ფუტკარი ნექტრის მოტანას. ისინი ჭეშქმედი ჩამოვიდებულნი არიან ფიჭებზე და სციდან ღვინის გამოყოფნას ელოდებიან, რომ იყარონ წინაშე საკვადი ნაყოფი ფუტკრის გუნდს მუფუტკრე ახალ სკამში მიათავებენ, თუ მკვეთრად იცვლება შრომისაგამი და მოკიდებულება, ნაყოფი ფუტკრის ოჯახი აქტურად იწყებს დღეზე მუშაობას, რომ დასმობრებამდე მოასწროს ბუღეში თავის მარაგის დაგროვება.

მათარი ღვინისაგამი დამთავრების შემდეგ, ფუტკრები სციდან მამლებს გამოვლენას იწყებენ, რაც ამას მაუწყებელია, რომ ბუნებაში ნექტარი ნაკლებად მიაძივება და ფუტკრის ოჯახი მიაძივლი ზმთის პერიოდისათვის ემზადება.

ფუტკრის ჯიშები და ქართული ფუტკარი

მკვნიერების მრავალ ცდას, ფუტკრის ახალი ჯიშებით გამოყვანის მიზნით, ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ მიიქცია, ამიტომ მუფუტკრების განვითარების წარმატებით გადასწავლბა დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული ფუტკრის ჯიშების გამოვლენებას და მათი ბიოლოგიური თვისებების შესწავლას.

ცნობილია, რომ ფუტკრის ოჯახი აერთიანებს, როგორც ერთეულად მცნვრებ ფუტკრებს, ასევე ფუტკრებს, რომლებიც ოჯახურად ცხოვრობენ. ისინი დაახლოებით 12 ათას ხასიონს შეეადგენენ და ველურ/გარეულ/ მფლობელობაში არიან. მათ განეკუთვნება აგრეთვე მეთაფლია ფუტკარიც, რომლის გვარიც შემდეგ სახეობად იყოფა: ინლოეთის დიდი ფუტკარი, ინლოეთის საშუალო ფუტკარი, ინლოეთის ჯუჯა ფუტკარი, უნესტრო ფუტკარი და მეთაფლია ფუტკარი. ინლოეთის დიდი და ჯუჯა ფუტკრები, აგრეთვე უნესტრო ფუტკარიც, ფუტკრის უმარტივესი სახეობაა და ჯერ კიდევ გარეულ მფლობელობაში იმყოფებიან.

ინლოეთის დიდი ფუტკარი - ცხოვრობს ინლოეთში, კუნძულებზე იავას და სუმატარზე. იგი ყველა სახეობის ფუტკრებს შორის გამოირჩევა სიდიდით, მისი სავრძე 18 მმ-ია. ბუღე წარმოადგენს მის ტოტებზე ჩამოშენებულ ორმხრივ ფიჭას, რომლის სიგრძეა 1-1,5 მეტრი, სიგანე კი 0,6-1 მ-მდე აღწევს. ხშირად ერთ ხეზე 30-დან 40-მდე ასეთი ბუღეა ჩამოშენებული. ხშირობითი, როცა აცუვდება ისინი ტოტებზე თავიანთ ბუღეს და სამხრეთისაკენ მიემართებიან, ხოლო ზაფხულში დიდი სიციხების პერიოდში, წრდამხრეთისაკენ გადაინაცვლებენ. ეს ფუტკარი იძლევა თაფლს და ცვილს/ხასიელს/, მაგრამ მისი მნიშვნელობა ვერ ხერხდება.

ინლოეთის ჯუჯა ფუტკარი - ტანით მალე პატარაა, ის ოთახის ბუხზე მომცროა, ბუღეს იკეთებს ხეების ან ბუჩქოვანი მცენარეების ტოტებზე, სადაც ჩამოშენებს ხოლმე ხელისიგულისიოდნა ზომის ერთადერთ ფიჭას. მისი პრაქტიკულობა მალე მოკრძალებულია და ამიტომ ამ ფუტკრის მოშინაურებას არც არა აქვს.

ინლოეთის საშუალო ფუტკარი - გავრცელებულია ინლოეთში, იაონიში, ხსნეთში, კორეასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ბუღეს ამცენებს მის ფულურობაში, გამოჭაბულებში და კლდის ნარჩალებში. იგი თავის სამშობლოში ასრულებს წვეწვრები მეთაფლია ფუტკრის დანისმულებას, მაგრამ ნაკლებად შრომის მოყვარეა. ამასთან ახასიათებს მალე ცუდ თვისება, თუ მცირე დღიანის წელია ან ჭინჭრელებმა შეაწუხეს, ტოტებს საცხოვრებელ ადგილს და ახალი ბუღის მოსაწყობად შორეულ ტყეებს მიაშურებს, რაც გარკვეულ სიმწიფეებს უქმნის ინლოელ მუფუტკრებს.

უნესტრო ფუტკრები - საოცარია, მაგრამ თუმცა ასეთი ფუტკრებიც არსებობენ. დაახლოებით 100-მდე ხასიონის ასეთი ფუტკარი ბინადრობს ხეში პლანეტის ტროპიკებში - ამერისასა და სამხრეთ აზიაში; რასაკარგვლა თავდაპირველად აღმასნები შეეცადნენ მათ მოშინაურებას, ამა ვის არ უნდა "უკულო ვარდის" მოწყვეტა, მაგრამ ორი მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. პირველი, იმდენი რომ ეს ჯიშით სხვა კლიმატურ პირობებს ვერ ეგუება; მეორეც იმაგვის, რომ მართლაც მათ შიამიანი ნესტარი ატროფირებული აქვთ, მაგრამ თავიანთი კლდის დაცვისას, ისინი ყრბით ისე მტკავრულად იმქიბებიან, რომ ასეთ ადგილებში ხნდება წყლებუბი, რაც შემდეგ შემასწებელ ქვილისა და წვას იწვევს.

აგრეთვე აღსანიშნავია განყოფილი უნესტრო ფუტკრები მასობრივად თავს უხსნიან თავიანთ მტკრის და ცლიობებს შემოვრნის მის ყველა მარწმობარე ადგილებში - ივლიებს, თვალის უბეჭში და ა.შ. ისინი ისე მაგრილ ჩაეჭიდებიან ხოლმე მტრის სხეულს, რომ მათი ჩაბერტყვა შეუძლებელია თუნდაც ტანიც რომ მოაწყვტოთ; ასე რომ ვასაც მათთან მქონია საქმე, წვეწვრები ფუტკრის მხამიანი ნესტარი ერთობ "სიმამათურ" იარაღად მოეწვენება.

უნესტრო ფუტკრები/მედიანისები, ტრივონისები/ თავიანთ ბუღეებში ფიჭებს ამცენებენ პირიზონტა

ლურად და შუაგულებით ერთმანეთთან ამარტყეს. ისინი ფიჭის უჯრედებში მხოლოდ ბარტყებს ზრდიან, თავლისათვის კი სპეციალურ ჭურჭელს "კასრ" ამზადებენ, რომლებიც ხანდახან კათის კვრცხის ზომას აღწევენ და ასეთნაირად ერთ ოჯახს 3 კვ. თავლის შევარება შეუძლია.

მთავლიან ფუტკარი - გავრცელებულია დელამიწის ყველა კონტინენტზე, საუკუნეების მანძილზე მათმა ბუნებრივმა და ნაწილობრივ ხელოვურმა შერჩევამ წარმოშვა სხვადასხვა პრიმიტიული ჯიშები, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური და სამეურნეო სასარგებლო თვისებებით ძალზედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

შუა რუსეთის ფუტკარი - კარგადაა შეგუებული ზანტარძლივ ჰაზმარსა და ხანმოკლე ზაფხულს. იგი იძლევა დიდი რაოდენობით თაფლს და ცილს, მაგრამ ამასთან ძალზე ავია, რის გამოც პირბადისა და საბოლესის გარეშე საფუტკარში მუშაობა შეუძლებელია.

ყირიმის ფუტკარს - ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ ფუტკართან, მაგრამ მისი ზორთუმის სიგრძე საგრძობლად მოკლეა და ტოლია 4,44 მმ-სა;

სურათნობი ფუტკარის - სამშობლო თუმცა იუკონსაგია, მაგრამ სასარგებლო სამეურნეო თვისებების გამო ფართოდ გავრცელდა ამერიკასა, ინგლისსა და აზიის ბევრ ქვეყანაში. მის სხვა ჯიშებთან შედარებით, გარდა ქართული ფუტკარისა, აქვს გრძელი ზორთუმი. მის უარყოფით თვისებად ითვლება უსაზღვრო მიდრეკილება ბარტყობისადმი. დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს მისი მდგრადობა დაავადების მიმართ.

იტალიური ფუტკარი - ამ ჯიშის ფუტკარის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, მათ შორის: აშშ, სამხრეთ ამერიკაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკაში, შვეიცარიაში და ინგლისში. მისი ზორთუმის სიგრძე 6,23 მმ აღწევს. კარგად მუშაობს ღალანობის ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ არახელსაყრელ პირობებში ნაკლებად პროდუქტიულია. იტალიური ფუტკარი შედარებით თვინიერი და მშვიდია, არა აქვს მიდრეკილება ნაყრანობისადმი.

ფუტკარის სხვა ჯიშებიდან ცნობილია: ბერძნული, სირიული, კვიპროსული, ფრანგული, შვეიცარიული, ინგლისური, ვევიატური, იაპონური და ა.შ.

ბარის კაკასიური ფუტკარი გავრცელებულია საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. მუცელზე აქვს ყვითელი ზოლი, შეგუებულია მოკლე ჰაზმარსა და სიცხეებს, მშვიდია; იგი ქართული რუხი და ხაინათული ფუტკარის ნარევაა. ახასიათებს ძლიერი გამრავლების უნარი.

მთის ქართული რუხი ფუტკარი გვხვდება დასავლეთ საქართველოს სამხრეთ კაკასიის მთიან ადგილებში: სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, ქართლ-იმერეთის მთაგურხილზე, გურიაში.

მეტად საყრადღებოა ზოგიერთი იმ ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების ჩამონათვალი რომელიც ამ ჯიშის ფუტკარს ახასიათებს.

- მისი ზორთუმის სიგრძე აღწევს 6,6-დან 7,2 მმ-მდე.
- იგი მშვიდი და თვინიერია, მასთან შეიძლება პირბადის გარეშე მუშაობა;
- გამოირჩევა შორს ფრენით 5-6 კმ-ის რადიუსით, უმისრად მუშაობს მცირე წვიმაშიც და სუსტი ქარის დროსაც.
- გამოირჩევა გამბედაობით, კარგად აქვს განვითარებული თავდაცვისა და თავდასხმის უნარი, ქრდ ფუტკარს ჰკერძივე უმართავს ბრძოლას.
- გამოირჩევა შრომის დიდი უნარით, მუშაობს იწყებს ადრიახლ და ამთავრებს დაბინდებისას;
- ხასიათდება ნაკლები ბუნებრივი ნაყრანობით.
- ზოგჯერ, კარგ ამინდში ღამეს ათებს ბუდის გარეთ - ვევილზე, რაც სხვა სახეობის ფუტკარებს არ ახასიათებთ.
- უსრუველყოფს სამყრას დამტკვრიანებას, რამაც მას ვერ შეეღრება ვერც ერთი ჯიშის ფუტკარი.
- გამოირჩევა სადედეების ნაკლები რაოდენობის ჩამოშენებით.
- ხასიათდება ორდღიანობით, ახალი დედის გამოჩეკვიდან 7-20 დღის განმავლობაში და ა.შ.

საქართველოს კიბო სტუდიის ფონდის არქივში ინახება მოკლემეტრაჟიანი ფირი სამეცნიერო-პოპულარული ფერადი ფილმისა "ქართული ფუტკარი", რომელიც წარმოადგენს საყრადღებო თვალსაზრის მასალას ქართული ფუტკარის ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების შესახებ.

ფილმის სცენარის ავტორია კ.ჯავრიანი, რეჟისორი ბრ. კანდლაკი, რედაქტორი ბ.თევზაძე. ფილმი გადაღებულია 1962 წელს.

ქრდში მონასს საქართველოს მთიანი კუთხის სოფ. მუნური. აყვავებულ ვაშლის ხეებს შორის ჩამწკრივებული სკები, ფილმის დიქტორი ვევილზე, რომ ამ საფუტკარში მომსენებულია ქართული მთის რუხი ფუტკარი, რომელიც შრომისმოყვარეა და მშვიდი ბუნებით გამოირჩევა.

კვანზე ვხედავთ, თუ როგორ მუშაობს ქართული ფუტკარი წითელ სამყარაზე, საიდანაც ნექტრის ამოღება სახელგანთქმული იტალიურ ფუტკრებსაც კი არ ძალუძთ. მეტად ეფექტურად არის ნახევრები ის მომენტები, როდესაც დედა ფუტკარი ფიჭის უჯრედში დებს კვერცხს, მას თან ახლავს დიქტონანსი განმარტება, რომ დედა ფუტკარი დედა-ღამის განმავლობაში დებს დაახლოებით 2500-მდე კვერცხს რაც მის წონას 3-4 ჯერ აღემატება. შემდეგ მონასწის ლალიდან დაბრუნებული ფუტკარი "ცეკა" ფიჭაზე, რითაც ის თავის მომსახურებს ატვირთავს ნექტრის ახალი წყაროს ადგილმდებარეობას. იცვლება კანდი, მონასწის ზრამი, ხეობის კლდეები, ეს არის ქართული მთის რუხი ფუტკრის სამშობლო, სადაც ბუნებრივი შერჩევის გზით მიღებული იქნა ეს უნიკალური ჯიშის, რომელიც საქართველოს მთიანი ხეობებიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მიუფინა. ძალზე ეფექტურია ფიჭის ფინალიც, მონასწის თვითმფრინავი, რომელშიც იტვირთება "აკეტივით" ქართული ფუტკრით. შემდეგ კი სწავს მსოფლიოს რუკა, რომელზედაც მონასწის საქართველო; აქედან აფრენილი თვითმფრინავები როგორ მიემართებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისაკენ. მათ ქართული მთის რუხის ფუტკრის "აკეტივი" მიაქვთ.

ქართული მთის რუხი ფუტკრის ძვირფასმა და უნიკალურმა თვისებებმა, მრავალი გამოჩენილი მეცნიერებისა და მეფუტკრეობის სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო, მათმა დაუღალავმა და მრავალწლიანმა გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ფუტკრის ბუნებრივი ხასიათებლი თვისებების გამოვლენისა და შესაბამისად ამ ჯიშის ფუტკრის პრაქტიკული გამოყენების მსოფლიოში.

- ქართული ფუტკრის შესწავლა პირველად დაიწყო რუსმა ბუნებისმეტყველმა პ.პალასმა, 1773 წელს; ამის შემდეგ გავიდა ერთი საუკუნე და 1877 წელს ცნობილმა რუსმა ქიმიკოსმა და მეფუტკრეობის მოყვარულმა, აკადემიკოსმა ა.ბუტლეროვმა განავრცო პ.პალასის მიერ დაწყებული საქმე; მან აღნიშნა, რომ ეს ჯიშის ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით.

- 1906 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა და მეფუტკრემ ბენტონმა მრავალი ქვეყანა შემოიარა გრძელხორთოვანი ფუტკრის ძებნაში. საქართველოში ყოფინას მან შეისწავლა ქართული ფუტკარი და დარწმუნდა, რომ ქართულ ფუტკარს ხორთუმის სიგრძით მსოფლიოში არც ერთი ფუტკარი არ შედრება. მან ამ ჯიშის რამდენიმე დედა ფუტკარი თან წაიყვანა და ამით საფუძვლად ჩაუყარა ქართული მთის რუხი ფუტკრის ექსპორტის მსოფლიოში.

- 1916 წელს ბუნებისმეტყველმა და ენტომოლოგმა - კ.კორობაიშვილმა განსწავლა საქართველოს ბარის ყვეოთელ ხეობაში ფუტკარი მსოფლიო მნიშვნელობის მთის ქართული რუხი ფუტკრისაგან.

- 1924-30 წლებში ვალაბაძემ პირველად აღნიშნა, რომ ქართული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე მაღალმთიან რაიონებში სიმაღლის შესაბამისად მატულობს.

ქართულმა ფუტკარმა მსოფლიოში სახელგანთქმულ იტალიურ ფუტკართან შეჯიბრებაში რამდენჯერმე გაიმარჯვა.

1926-1931 წლებში ვაიორინგის შტატში /აშშ/ ქართული და იტალიური ფუტკრების შედარებითა გამოცდამ თავლის პრიორიტეტობაზე დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ფუტკრის სასარგებლოდ; ხუთი წლის მონაცემების მიხედვით ერთსა და იმავე პირობებში ქართულმა ფუტკარმა საშუალოდ 36 კგ-ით მეტი თავლი დააგროვა, ვიდრე იტალიურმა ფუტკარმა, ხოლო 1927 წლის გვალვიან პერიოდში ქართულმა ფუტკარმა 20 კგ. თავლი დააგროვა, იტალიურმა კი კვარყერი კერძომატა თავის თავლის მარაგს.

ძვირფასი სამეურნეო სასარგებლო თვისებების გამო, აშშ-ში მეფუტკრეობის 50-55 % ქართული ფუტკრის მოშენებას მისდევს.

ქართული ფუტკრის კიდევ ერთი დიდებითი თვისებაა ის, რომ ლალიანობის დაწყებიდანვე იგი ნექტარს პირველ რიგში ბუდეში აგროვებს, რითაც დედა ფუტკარს უზღუდავს მასიურად კვერცხის დების საშუალებას. ამით მუშა ფუტკარს საშუალება ეძლევა ღალაზე იმუშაოს და დრო არ დაკარგოს ბარტყის გამოზრდაზე. იტალიური და შუა რუხეთის ფუტკრები კი, პირიქით, ნექტრის დაგროვებას საკუჭნაოდან იწყებენ და დედა ფუტკარს საშუალება ეძლევა მაქსიმალურად საკვერცხოს ბუდის ფიჭაზე, ეს კი მთლიან ფუტკრის მუშაობას აფერხებს და თანაც ფუტკრის ოჯახს საყრდენობისაკენ უბიძგებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ფუტკრის თვისებები, სრულად ვლინდება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

